ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №70 სხდომის ოქმი

2013 წლის 14 იანვარი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი და აკადემიური საბჭოს 26 დეკემბრის სხდომაზე პირობით დამტკიცებული ან გადასამუშავებლად უკან დაბრუნებული ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ფუნდამენტური და ინტრედისციპლინური მათემატიკური კვლევის ინსტიტუტის, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტების განხილვა;
2. აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ტიპის განსაზღვრა;
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტის, გვანცა ჭანტურიას სადისერტაციო თემის "საქართველოში გავრცელებული Francisella tularendis - ის მოლეკულურ-ეპიდემიოლოგიური დახასიათება" დაცვისთვის რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
4. ახალი აკადემიური კონკურსის გამოცხადება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 30 ასოცირებული პროფესორის, ამავე ფაკულტეტზე 2 სრული პროფესორის და საინჟინრო ფაკულტეტზე 1 სრული პროფესორის თანამდებობაზე არქეოლოგიის მიმართულებით;
5. საინჟინრო ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის, ბიძინა კაპანაძისათვის პალერმოს უნივერსიტეტში 2-თვიან სამეცნიერო სტაჟირებასთან დაკავშირებით 40% სახელფასო სარგოს შენარჩუნების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

6. მეცნიერებათა და ხელოვნებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე 2013 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის პირველი ნახევრისათვის გამოსაცხადებელი კონკურსების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მათემატიკის სადოქტორო პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია როგავა - სხდომის მდივანი;
3. კონსტანტინე კუბლაშვილი;
4. მარინე ჩხიკვიშვილი;
5. გიგა ზედანია;
6. მიხეილ ელაშვილი.

2013 წლის 14 იანვრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დამტკიცდეს -** დამტკიცდეს ფუნდამენტური და ინტრედისციპლინური მათემატიკური კვლევის ინსტიტუტის 2 პროექტი: 1. შეზღუდვის მქონე დისკრეტული კონფიგურაციების გეომეტრია; 2. ორგვარი ფოროვნობის მქონე სხეულის თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა; ასევე დამტკიცდეს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი ხელოვნების ინტერდისციპლინური კვლევა, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტი - ინტერნეტ- ადიქციის დაიგნოსტიკის, რეაბილიტაციის და პრევენციის ცენტრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც შეეხება აღნიშნული პროექტის ფარგლებში ი. ბერიტაშვილის სახელობის ბიომედიცინის ცენტრის თანამშრომლის, ირმა ხაჩიძის მოწვევის საკითხს, დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, გაარკვიოს, აქვეყნებდა თუ არა იგი სტატიებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, დადებითი დასკვნის შემთხვევაში მოხდეს პროექტში ირმა ხაჩიძის მოწვევა;
2. **დამტკიცდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე (სრული, ასოცირებული და ასისტენტი) განისაზღვროს შემდეგი ტიპის კონტრაქტები:

სრული პროფესორი
სრული/უვადო
სრული/უვადოზე ორიენტირებული II დონის კონტრაქტი
სრული/უვადოზე ორიენტირებული I დონის კონტრაქტი
სრული/ვადიანი (საათობრივი დატვირთვის ჭერი - 1 სთ. = 54 ლ. კვირაში 8 საათი).
სრული/სპეც.

ასოცირებული პროფესორი
ასოც/უვადოზე ორიენტირებული II დონის კონტრაქტი
ასოც/უვადოზე ორიენტირებული I დონის კონტრაქტი
ასოც. ვადიანი (საათობრივი დატვირთვის ჭერი - 1 სთ. = 36 ლ. კვირაში 10 საათი).
ასოც/სპეც.
ასისტენტ -პროფესორი
ასისტენტი/ უვადოზე ორიენტირებული I დონის კონტრაქტი
ასისტენტი ვადიანი (საათობრივი დატვირთვის ჭერი - 1 სთ. = 30 ლ. კვირაში 12 საათი).
ასისტენტი სპეც.

3. ***დამტკიცდეს*** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტის, გვანცა ჭანტურიას სადისერტაციო თემის "საქართველოში გავრცელებული Francisella tularendis - ის მოლეკულურ-ეპიდემიოლოგიური დახასიათება" დაცვისთვის რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: მაია ნოზაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, შოთა ცანავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: დავით მიქელაძე - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ლალი შანშიაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნინო ნაცვლიშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პაატა იმნაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
4. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 30 ასოცრებული პროფესორის და 2 სრული პროფესორის, ასევე საინჟინრო ფაკულტეტზე ერთი სრული პროფესორის თანამდებობაზე არქეოლოგიის მიმართულებით;
5. **დადგინდეს** - საინჟინრო ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორს, ბიძინა კაპანაძეს, ამავე ფაკულტეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე პალერმოს უნივერსიტეტში 2-თვიანი სამეცნიერო სტაჟირების პერიოდში სახელფასო სარგო შეუნარჩუნდეს ხელფასის 40%-ის ოდენობით;
6. **2013 წლის 25 იანვრიდან გამოცხადდეს აკადემიური კონკურსები : მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე:** ეკოლოგია-კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;

ნეირობიოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. ფილოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. კულტურის კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. **საინჟირო ფაკულტეტზე** ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებით (ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და კოსმოლოგია) ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. ასტროფიზიკა-ასტრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე. **ხოლო 2013 წლის** 14 თებერვლიდან გამოცხადდეს კონკურსები **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე:** კავკასიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; საბჭოთა კვლევების მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; მოლეკულური ბიოქიმიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; ნეიროფიზიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; სოციალური სამუშაოს მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; **საინჟინრო ფაკულტეტზე:** არქეოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; ასტრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ და ასისტენტ-პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე.

7. დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების მათემატიკის სადოქტორო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია როგავა